ჟურნალის რედკოლეგია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი პაპავას გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეკონომიკურმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 88 წლის ასაკში გარდაიცვალა თსუ-ს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **გიორგი ვლადიმერის ძე პაპავა.**

პროფესორი გიორგი პაპავა დაიბადა 1923 წელს სამტრედიაში ინტელიგენტის ოჯახში. პაპავების ეკონომისტთა ოჯახურ დინასტიას სათავე დაუდო მისმა მამამ, ცნობილმა მეცნიერმა, ეკონომისტ-სტატისტიკოსმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ვლადიმერ თადეოზის ძე პაპავამ.

სკოლის დამთავრებისთანავე იგი გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში. ომის პერიოდში მან საკუთარ თავზე გამოსცადა ტყვეობაში ყოფნისა და თვით გესტაპოს ციხის ჯურღმულების სიმწარე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი იწყებს ფართო და ნაყოფიერ პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობას. წლების განმავლობაში იგი მუშაობდა ქვეყნის სამრეწველო საწარმოებში პასუხსაგებ თანამდებობებზე.

1959 წელს იგი წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო 1972 წელს სადოქტორო დისერტაციას ეკონომიკურ მეცნიერებათა ხარისხის მოსაპოვებლად, რის შემდეგაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა სამეცნიერო თანამდებობებზე. წლების განმავლობაში იყო განყოფილების გამგე სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის და საქართველოს მეცნიერებათა პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტებში.

პროფესორი გიორგი პაპავა არის 150-მდე გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი (მათ შორის, 20-ზე მეტი მონოგრაფიის) მისი მეცნიერული კვლევა-ძიების სფერო მოიცავს სამრეწველო საწარმოთა ეკონომიკას, ორგანიზაციას, მართვისთეორიას და ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიას. მან შექმნა ეკონომიკის ახალი მიმართულება, რომელიც ქმნის საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებელთა სისიტემის მარკეტინგული მართვის საფუძვლებს. მან შექმნა მეცნიერული შემეცნების სისტემური მეთოდოლოგია "პერიოდანტულ-გენეტიკური მიდგომის" სახით. მანვე შექმნა ეკონომიკურ მახასიათებელთა მულტიპლიკაციური მთლიანობითი სისტემა და ამით მიაღწია მენეჯმენტის ორგანიზებულობის გაზომვას. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი 2009 წელს შვედეთში გამოცემული ერთ-ერთი ბოლო მონოგრაფია – "Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы" რომელმაც აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სამეცნიერო პრემია დაიმსახურა. 1987 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს პრემია მიენიჭა ასევე შვილთან, პროფესორ ვლადიმერ პაპავასთან ერთად გამოცემულ წიგნს – "სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა".

პროფესორი გიორგი პაპავა სამეცნიერო მოღვაწეობას უხამებდა წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობას. მრავალი წლის განმავლობაში იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. სტუდენტი – ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში და ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით.

შესანიშნავი მეცნიერისა და პედაგოგის, საუკეთესო მოქალაქის, პიროვნებისა და კოლეგის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, მოწაფეებისა და ახლობლების გულში.

ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. რეგისტრირებულია თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ. რეგისტრაციის №19181.
რედაქტორის ტელ.: 2-36-51-16; 599-33-53-92.
web: www.socialuri-economica.ge;
e-mail: social_economica@mail.ru

გადაეცა ასაწყობად 20.02.12.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.02.12.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 23.

ტექნიკური რედაქტორი და კორექტორი: ნანა სახეჩიძე
კორექტორები: თინა ცისკარიშვილი, ნანა ბლუაშვილი, ნანა ბოლქვაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი: ზურაბ წერეთელი